

პასუხები სააგენტოს N 21/2323 04/04/2023 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე

N	შენიშვნა	პასუხი
	<p>დოკუმენტში მოცემულია მოსალოდნელი ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, რომლის თანახმადაც უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე 48,88 დბა-ს შეადგენს, რაც არ არის შესაბამისობაში „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან (დანართი №1 - აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმა საცხოვრებელი და საძილე სათავსებისთვის);</p>	<p>საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილებით, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები (ბგერის დონეები) განსაზღვრულია №1 დანართით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დღისით, საცხოვრებელ მასივთან დასაშვები ნორმები შეადგენს 50 დბა(დანართი1-ს მეცამეტე პუნქტი). ხოლო საცხოვრებელი და საძილე სათავსებისთვის -35 დბა (დანართის მესამე პუნქტი). გაანგარიშების მიხედვით საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე შეადგენს 48,88დბა,რაც ნაკლებია ნორმით გათვალისწინებულზე (50დბა). ვინაიდან საცხოვრებელი სახლის კედლები კაპიტალურია, მათი ბგერათსაიზოლაციო ეფექტი შეადგენს 25-30 დბა-ს. შესაბამისად საძილე სათავსოში მოსალოდნელი ხმაურის დონე იქნება 35 დბა-ზე ნაკლები (48,88-25 = 23,88 დბა). აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად დაემატა სკრინინგის განაცხადში.</p>
	<p>სკრინინგის განცხადებას თან არ ერთვის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებული საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებთან კორესპონდენციისა და საქმიანობის განხორციელებაზე მათი თანხმობის შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>ინფორმაცია მოსახლეობასთან კომუნიკაციის შესახებ დაზუსტდა თქვენი მითითების შესაბამისად.</p>
	<p>წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში ფუნქციონირებს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოები, შესაბამისად დოკუმენტი უნდა მოიცავდეს სრულყოფილ</p>	<p>სკრინინგის განაცხადს დაემატა ინფორმაცია ხმაურის გავრცელების მოსალოდნელი კუმულაციური ეფექტის შესახებ.</p>

<p>ინფორმაციას არსებული საწარმოო ობიექტებისა და მათი ფუნქციური დანიშნულების შესახებ, აგრეთვე, საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, აგრეთვე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით.</p>	
---	--